ევროკავშირი საქართველოსთვის

ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში

---

27 სექტემბერი 2023

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის მოკლე ანგარიში აქციებზე მობილიზებული პოლიციელების რაოდენობისა და არაიდენტიფიცირებული პოლიციელების შესახებ

პროექტის ფარგლებში - „ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“ - ადამიანის უფლებათა ცენტრი აკვირდება შეკრებებსა და მანიფესტაციებს და უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებას როგორც საპროტესტო აქციებზე განვითარებული მოვლენების, ისე მათი მიმდინარეობისას სახელმწიფო ინსტიტუტების მიერ განხორციელებული ქმედებების ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის შესახებ.

2023 წლის იანვრიდან აგვისტომდე პერიოდში, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები დააკვირდნენ 10 საპროტესტო აქციას. მონიტორინგის საანგარიშო პერიოდში, მონიტორების შეფასებით, აქციების მიმდინარეობისას გამოიკვეთა, აქციის მონაწილეთა რაოდენობასთან შედარებით პოლიციელთა არაპროპორციული რაოდენობის მობილიზების ტენდენცია. არის შემთხვევები, როცა აქციის მონაწილეთა რაოდენობასთან შედარებით პოლიციელთა რაოდენობა თვალშისაცემად მეტია, ზოგჯერ კი პირიქით – იმდენად ნაკლებია, რომ პოლიცია ვერ ახერხებს საზოგადოებრივი წესრიგის და აქციის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას – კერძოდ, მათ დაცვას ძალადობრივი განზრახვის მქონე კონტრდემონსტრანტებისგან. ამასთან, აქციებზე ფორმიან პოლიციელებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ პოლიციელები სამსახურებრივი უნიფორმის გარეშე, რომელთა იდენტიფიცირებაც შეუძლებელი იყო.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები 28 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით აკვირდებოდნენ ბექა გრიგორიადისის მიერ ორგანიზებულ აქციას, პარლამენტის შენობის მიმდებარე სკვერში.[1] 3 ივნისს, ღამის 1:30 საათისკენ, პოლიციელთა რაოდენობა 3-ჯერ აღემატებოდა აქციაზე მყოფი მონაწილეების რაოდენობას.[2] 29, 30 მაისის და 1 ივნისის აქციებზე, აგრეთვე, პოლიცია არათანაბარი ძალით იყო მობილიზებული. კერძოდ, პოლიციელების რაოდენობა სამჯერ მაინც აღემატებოდა აქციის მონაწილეთა რაოდენობას - აქციაში მონაწილეობდა 15-მდე მონაწილე, ადგილზე კი, დაახლოებით 60-მდე პოლიციის თანამშრომელი იყო მობილიზებული.[3] ამის საპირისპიროდ, გია გაჩეჩილაძის („უცნობი“) და ზაზა პაპუაშვილის ორგანიზებულ აქციაზე - „მოვდივარ - საქართველო უპირველეს

---

[1] იხ. მონიტორინგის ანგარიში ბექა გრიგორიადისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ცენტრი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/zkqjt [02.09.2023].

[2] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 03.06.2023.

[3] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 29.05.2023; 30.05.2023; 01.06.2023.

ყოვლისა“, სადაც 11 000-მდე მოქალაქე იმყოფებოდა,[4] დაახლოებით, 100-მდე პოლიციელი იყო მობილიზებული.[5] ორგანიზატორების თქმით, აქციის მიზანი იყო “ქვეყანაში მშვიდობის მხარდაჭერა” და იგი “აპოლიტიკური” უნდა ყოფილიყო; მიუხედავად ამისა, რამდენიმე გამომსვლელმა ანტი-დასავლური მოწოდებები გააჟღერა. ასევე, 31 ივლისს პარლამენტთან სამოქალაქო ორგანიზაციების აქციაში - ,,რუსეთი მტერია და არა სტუმარი!“ აქციის მონაწილეებთან შედარებით, პოლიცია არაპროპორციული რაოდენობით იყო წარმოდგენილი. საპროტესტო აქციაში, დაახლოებით 350-მდე მოქალაქე მონაწილეობდა, აქციას კი მეთვალყურეობდა - 65-მდე პოლიციის თანამშრომელი, რომლებიც აქციის მიმდინარეობისას განლაგებული იყვნენ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, სხვადასხვა ადგილას (ქაშუეთის ეკლესიასთან, პარლამენტსა და პირველ გიმნაზიას შორის არსებულ ჭიჭინაძის ქუჩაზე, პარლამენტის უკან შესასვლელთან, 9 აპრილის ქუჩაზე).[6]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების თანახმად, ზემოთ დასახელებულ სამივე აქციაზე იმყოფებოდნენ უფორმო, არაიდენტიფიცირებადი პოლიციელები, რომლებსაც სხვა ფორმიან პოლიციელებთან ჰქონდათ კომუნიკაცია.[7] ამის საპირისპიროდ, საუკეთესო პრაქტიკა მიუთითებს პოლიციელების იდენტიფიცირების შესაძლებლობის აუცილებლობაზე.[8] კერძოდ, საჭიროა სამართალდამცავი ორგანოების თითოეული წარმომადგენელი ცხადად და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი იყოს.[9]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პოლიციელთა არასათანადო რაოდენობის მობილიზების პრობლემა გამოიკვეთა 2023 წლის 8 ივლისს, ,,პრაიდ ფესტივალის“ მიმდინარეობისასაც.[10] ამ ღონისძიების შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე, სხვადასხვა ჯგუფებმა ამავე დღეს დააანონსეს კონტრდემონსტრაცია,[11] რასაც მოჰყვა ვიდეოების თუ სოციალურ მედიაში გავრცელებული პოსტების მეშვეობით საჯარო მოწოდებები კონტრდემონსტრაციაზე წასვლისკენ; გავრცელებული მიმართვები შეიცავდა სიძულვილის ენას.[12] მიუხედავად ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულება, პრაიდ ფესტივალის მონაწილეები დაეცვა კონტრდემონსტრანტების აგრესიული ქმედებებისგან, რის შედეგადაც მისი გამართვა ვერ მოხერხდა. ამ შეფასებას იზიარებენ ღონისძიების ორგანიზატორებიც.[13] როგორც

---

[4] იხ. *რამდენი ადამიანი ესწრებოდა ,,უცნობის“ აქციას რესპუბლიკის მოედანზე*, მითების დეტექტორი, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/gjrex [02.09.2023].

[5] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 30.04.2023.

[6] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 31.07.2023.

[7] ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 03.06.2023; ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის საპროტესტო აქციის მონიტორინგის ანგარიში: 29.05.2023; 30.05.2023; 01.06.2023.

[8] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*, 2nd edition, Warsaw, 2010, p. 78, §153.

[9] იქვე.

[10] ჩაშლილი პრაიდის ქრონოლოგია, რომელიც პოლიციამ მოძალადეებისგან არ/ვერ დაიცვა, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ntzsu [05.09.2023].

[11] ,,პრაიდ ფესტივალის“ მოწინააღმდეგეებმა მსვლელობა დაიწყეს, რადიო თავისუფლება, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/pw9lx [05.09.2023].

[12] იხ. გიორგი ჯანაშვილის ფეისბუქ ლაივი, 1 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/p3ajq [05.09.2023].

[13] პრაიდის ფესტივალი ჩაიშალა, ორგანიზატორები ტერიტორიას ტოვებენ, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8jbxd [03.09.2023].

მედია იუწყება, ძალადობრივმა ჯგუფების მიერ ფესტივალის ჩაშლისა და ტერიტორიის დარბევის შედეგად, „თბილისი პრაიდს“, მინიმუმ, 10,000 ლარის მატერიალური ზარალი მიადგა.[14]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, პოლიციის თანამშრომლებს დაცვის პირდაპირი ვალდებულება აკისრიათ მაშინ, როდესაც მათ იცოდნენ, ან უნდა სცოდნოდათ, რომ არსებობდა რომელიმე მოწყვლადი ჯგუფის მიერ ორგანიზებული საჯარო ღონისძიებასთან დაკავშირებული რისკები - განსაკუთრებით, საქართველოში LGBT თემის მიმართ მტრული დამოკიდებულების ფონზე.[15] ასეთი რისკების შესახებ ინფორმაცია კი საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი.[16] შესაბამისად, ვინაიდან „პრაიდ ფესტივალი“ ჩაიშალა ძალადობრივი კონტრ-დემონსტრაციის შედეგად და ზიანი მიადგა კერძო საკუთრებას, ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, სახელმწიფომ ვერ შეძლო შეკრების თავისუფლების პოზიტიური, სამართლებრივი ვალდებულების შესრულება.

შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია საქართველოს კონსტიტუციით, ამ თავისუფლების ეფექტიანად დაცვის ვალდებულება სახელმწიფოს აკისრია. „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პოლიცია პრევენციული ფუნქციების შესრულების ნაწილში უზრუნველყოფს შეკრებების, მანიფესტაციებისა და სხვა მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოების დაცვას.[17] შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიან გარემოში ჩატარების ეფექტიანად და ადეკვატურად ფასილიტაციისთვის პოლიციას გადამწყვეტი როლი აქვს. რა დროსაც, პოლიცია ვალდებულია იხელმძღვანელოს ადამიანის უფლებების დაცვის, კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებით.[18] სახელმწიფომ უნდა მიიღოს გონივრული და შესაბამისი ზომები შეკრების მშვიდობიანად ჩასატარებლად.[19] ეს ნიშნავს, მათ შორის, იმას, რომ, თუკი აქციის მიმდინარეობისას ძალადობის ესკალაციაა მოსალოდნელი, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პოლიციელთა იმ რაოდენობის მობილიზება, რომელიც საკმარისი იქნება ძალადობრივი ქმედებების აღსაკვეთად, აქციის მონაწილეთა რაოდენობის გათვალისწინებით. მეორე მხრივ, თუკი აქციის დაგეგმვის პროცესში ორგანიზატორებს ძალადობრივი განზრახვა არ გამოუვლენიათ და არც იმის ვარაუდის საფუძველი არსებობს, რომ შეკრება ძალადობაში გადაიზრდება, სახელმწიფო უნდა შეეცადოს, რომ ადგილზე პოლიციელთა რაოდენობა იყოს გონივრული.

აქციის მონაწილეთა უსაფრთხოებისა და გამოხატვის თავისუფლების დასაცავად, სახელმწიფომ სიტუაციის შესაბამისად უნდა იმოქმედოს. ეს ცხადია, ეხება აქციაზე პროპორციული რაოდენობით

---

[14] „პრაიდის“ ფესტივალის დარბევის შედეგად სავარაუდო ზარალი, სულ ცოტა, 10 ათასი ლარია, რადიო თავისუფლება, 9 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/fz4pp [03.09.2023].

[15] *Identoba and Others v. Georgia*, no. 73235/12, §72, 12 May 2015; იხ. ასევე: OSCE/ODIHR, Human Rights Handbook on Policing Assemblies, 2016, გვ. 16, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/8ccdt [04.09.2023].

[16] იხ. შსს სიძულვილის ჯგუფების მიმართ კვლავ შემწყნარებელია - სამოქალაქო ორგანიზაციები, ნეტგაზეთი, 8 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/bsu48 [05.09.2023]. მორგოშია: 8 ივლისი 5 ივლისს დადგმულ კუბოზე ბოლო ლურსმნის დაჭედება იქნება, ტაბულა, 7 ივლისი 2023, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/zwnwp [05.09.2023].

[17] ქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“, მე-17 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტი.

[18] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*, 2nd Edition, Warsaw, 2010, p. 19.

[19] *Plattform „Ärztefür Das Leben“ v. Austria*, no. 10126/82, 21 June 1988, §34.

პოლიციელების მობილიზებას.[20] პოლიციელთა არაპროპორციულმა და გადაჭარბებულმა ჩარევამ დაძაბულობის შემცირების ნაცვლად, შესაძლოა, პირიქით - შექმნას კონფრონტაციული სიტუაცია და შესაძლო კონფლიქტის დეესკალაციის ნაცვლად, გამოიწვიოს მისი გამძაფრება.[21] საუკეთესო პრაქტიკა მიუთითებს, რომ, ჩვეულებისამებრ, პოლიციელთა ის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საჯარო წესრიგის დასაცავად, უნდა განისაზღვროს ერთობლივად სამართალდამცავი ორგანოებისა და აქციის ორგანიზატორების მიერ.[22] არ არის რეკომენდებული პოლიციელების დიდი რაოდენობით მობილიზება ისეთ აქციებზე, სადაც ამის აუცილებლობა არ არსებობს - მაგალითად, კონკრეტულ ადგილზე პოლიციელთა დიდი რაოდენობა შესაძლოა ორგანიზატორს აღუძრავდეს შიშს, რომ აქციის მონაწილეები ამას აღიქვამენ, დაპირისპირების მდგომარეობად და, შესაბამისად, ორგანიზატორებს უნდა შეეძლოთ, პოლიციას სთხოვონ დაბალი ხილვადობის გამოჩენა,[23] მათ შორის, ნღობის განმტკიცებისა და დაძაბულობის შემცირების მიზნით.[24]

მნიშვნელოვანია, ისიც, რომ ის პოლიციელები, რომლებიც ჩართულები არიან საპროტესტო აქციების მშვიდობიანად ჩატარების ორგანიზებაში, აქციის მიმდინარეობისას იყვნენ ნათლად და ინდივიდუალურად იდენტიფიცირებადი.[25] ეს უკანასკნელი ხელს უწყობს აქციაზე წარმოდგენილი პოლიციელების პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდას, რადგანაც ასეთ პოლიციელებს აქვთ განცდა, რომ ისინი არიან დაკვირვების ქვეშ და თუკი დაარღვევენ კანონის მოთხოვნებს, შესაძლებელია დადგეს მათი პასუხისგებაში მიცემის საკითხი.[26] შესაბამისად, პოლიციელთა ეფექტური ანგარიშვალდებულების გასაძლიერებლად, საზოგადოებისათვის პოლიციის თანამშრომლები ყოველთვის უნდა იყვნენ ადვილად იდენტიფიცირებადები, რისთვისაც ისინი უნდა ატარებდნენ შესაბამის ფორმებს ან სხვა მიმანიშნებელ ნიშანს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მივმართავთ რეკომენდაციით:

<u>საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:</u>

- ეფექტურად უზრუნველყოს ყველა მოქალაქის გამოხატვისა და შეკრების თავისუფლების დაცვა;
- შეკრებისა და მანიფესტაციის მშვიდობიანად ჩატარების უზრუნველსაყოფად იხელმძღვანელოს კანონიერების, აუცილებლობისა და პროპორციულობის პრინციპებით;

---

[20] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Handbook on Monitoring Freedom of Peaceful Assembly*, Warsaw, 2011, p. 24.
[21] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Report on Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States (May 2011 – June 2012), 9 November 2012, para. 201, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/smw90 [05.09.2023].
[22] European Commission for Democracy through Law (Venice Commission)/ OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly*, 2nd edition, Strasbourg-Warsaw, 9 July 2010, Study no. 581/2010, para. 187, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/c0bbf [04.09.2023].
[23] იქვე.
[24] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Monitoring of Freedom of Peaceful Assembly in Selected OSCE Participating States* (May 2017–June 2018), Warsaw, 19 September 2019, para. 289, ხელმისაწვდომია: https://rb.gy/ppi0u [05.09.2023].
[25] European Commission For Democracy Through Law (Venice Commission)/OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, *Guidelines on Freedom of Peaceful Assembly*, CDL (2008)062, 4 June 2008, p. 35.
[26] Boyle M., Vullierme J., *A Brief Introduction to Policing Public Gatherings: A guide for Practitioners*, Council of Europe, 2021, p. 39.

- შეკრებისა და მანიფესტაციის ფასილიტაციის პროცესში უზრუნველყოს ფორმიანი და იდენტიფიცირებადი პოლიციელების მონაწილეობა;
- შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს უზრუნველყოს პოლიციელთა პროპორციული რაოდენობის მობილიზება;
- უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრებების მონაწილეთა დაცვა ძალადობრივი კონტრდემონსტრანტებისგან.

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.